

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43
2014 წლის 16 ოქტომბერი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 29 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 23-ე მუხლის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად და მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ წინადადებათა გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 29 ივლისის №14 დადგენილებაში (სსმ, 29/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.105.016160) შევიდეს შემდეგი ცვლილება.

მუხლი 2

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებაში 2014 წლის 19 სექტემბრის №1728 და 2014 წლის №1805 განკარგულების საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი ტენდერებიდან მიღებული ეკონომიების გათვალისწინებით:

ა) შემცირდეს 269,4 ათასი ლარით სხვადასხვა პროექტების მიხედვით;

ბ) გადიდდეს 227,7 ათასი ლარით ორი ახალი პროექტის განსახორციელებლად, მათ შორის: 66.1 ათასი ლარი სოფელ გრიგოლიშის კანკიების უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობისათვის /კოდი 030203/ და 161.6 ათასი ლარი სოფელ დარჩელში საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობისათვის /კოდი 030201/.

მუხლი 3

1 შემცირდეს 65,0 ათასი ლარით ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროგრამები. მათ შორის:

ა) 5,0 ათასი ლარით კულტურული ღონისძიების ხარჯები/კოდი 050205/;

ბ) 35,0 ათასი ლარით სტუდენტთა ტრანსპორტით მგზავრობის თანადაფინანსება /კოდი 060308/;

გ) 17,0 ათასი ლარით მუნიციპალური აქტივების შესანახი ხარჯები /კოდი 0314/;

დ) 3,0 ათასი ლარით საჯარო მოხელეების გადამზადების პროგრამა /კოდი 0106/;

ე) 5,0 ათასი ლარით ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა /კოდი 030204/;

2 გადიდდეს 65,0 ათასი ლარით შემდეგი ასიგნებანი:

ა) 5,0 ათასი ლარით ძეგლთა დაცვისა და შენახვის ხარჯები/კოდი 05020102/;

ბ) 20,0 ათასი ლარით საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა /კოდი 0402/;

გ) 15,0 ათასი ლარით სამედიცინო დახმარების პროგრამა /კოდი 060302/;

დ) 20,0 ათასი ლარით საჯარო მოხელეთა კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო ხარჯები /კოდი 0106/;

ე) 5,0 ათასი ლარით საინფორმაციო მომსახურების პროგრამა /კოდი 050206/.



3 მუნიციპალიტეტის გამგეობის ასიგნებიდან არაფინანსური აქტივები 39,0 ათასი ლარი გადატანილ იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში.

მუხლი 4

ზემოხსენებული და ცალკეული მხარჯავი სუბიექტების მიხედვით მუხლობრივი ცვლილების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდეს 16439,9 (თექვსმეტი მილიონ ოთხასოცდაცხრამეტიათასცხრასი) ლარის მოცულობით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 16481,6 ათასი ლარისა.

მუხლი 5

დადგენილება გაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 6

დაევალოს საკრებულოს აპარატს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით დადგენილების რეგისტრაცია და გამოქვეყნება.

მუხლი 7

დადგენილება ძალაშია 2014 წლის 16 ოქტომბრიდან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლაშა გოგია

დანართი

თავი I

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თადაართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14 619,5	5 011,7	9 607,8	9 842,8	2 651,8	7 191,0
გადასახადები	490,0	0,0	490,0	218,6	0,0	218,6
გრანტები	13 364,5	5 011,7	8 352,8	8 933,5	2 651,8	6 281,7
სხვა შემოსავლები	765,0	0,0	765,0	690,7	0,0	690,7
ხარჯები	9 549,3	120,9	9 428,4	6 780,5	46,9	6 733,6
შრომის ანაზღაურება	2 078,9	0,0	2 078,9	1 609,8	0,0	1 609,8
საქონელი და მომსახურება	1 521,1	94,1	1 427,0	939,3	46,9	892,4
პირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	4 799,8	26,8	4 773,0	3 350,1	0,0	3 350,1
სოციალური უზრუნველყოფა	1 039,6	0,0	1 039,6	703,9	0,0	703,9
სხვა ხარჯები	109,9	0,0	109,9	177,4	0,0	177,4
საოპერაციო საღებო	5 070,2	4 890,8	179,4	3 062,3	2 604,9	457,4
არაფინანსური აქტივების						



ცვლილება	6 740,6	6 364,2	376,4	4 244,4	3 965,4	279,0
ზრდა	6 890,6	6 364,2	526,4	4 286,3	3 965,4	320,9
კლება	150,0	0,0	150,0	41,9	0,0	41,9
მთლიანი სალდო	-1 670,4	-1 473,4	-197,0	-1 182,0	-1 360,5	178,5
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 670,4	-1 473,4	-197,0	-1 182,0	-1 360,5	178,5
ზრდა	0,0	0,0	0,0	178,5	0,0	178,5
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			178,5		178,5
კლება	1 670,4	1 473,4	197,0	1 360,5	1 360,5	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 670,4	1 473,4	197,0	1 360,5	1 360,5	

მუხლი 2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახადები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	14 769,5	5 011,7	9 757,8	9 884,751	2 651,800	7 232,951
შემოსავლები	14 619,5	5 011,7	9 607,8	9 842,834	2 651,800	7 191,034
არაფინანსური აქტივების კლება	150,0	0,0	150,0	41,917	0,0	41,917
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახადები	490,0	0,0	490,0	218,6	0,0	218,6
ხარჯები	9 549,3	120,9	9 428,4	6 780,5	46,9	6 733,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 890,6	6 364,2	526,4	4 286,3	3 965,4	320,9
ნაშთის ცვლილება	-1670,4	-1473,4	-197,0	-1182,0	-1360,5	178,5

მუხლი 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 14619.5 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	2014 წლის გეგმა		2014 წლის ფაქტი	
	მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	
		საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	14 619,5	5 011,7	9 607,8	9 842,8	2 651,8	7 191,0
გადასახადები	490,0	0,0	490,0	218,6	0,0	218,6
გრანტები	13 364,5	5 011,7	8 352,8	8 933,5	2 651,8	6 281,7
სხვა შემოსავლები	765,0	0,0	765,0	690,7	0,0	690,7

მუხლი 4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 490.0 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	490,0	0,0	490,0	218,586	0,0	218,586
ქონების გადასახადი	490,0	0,0	490,0	218,586	0,0	218,586
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	50,0		50,0	99,820		99,820
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0	0,0	0,163	0,0	0,163
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	380,0	0,0	380,0	102,287	0,0	102,287
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	60,0	0,0	60,0	16,316	0,0	16,316

მუხლი 5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 13364.5 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13 364,5	5 011,7	8 352,8	8 933,500	2 651,800	6 281,700



საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0			0,0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	17,6		17,6	17,600		17,600
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13 346,9	5 011,7	8 335,2	8 915,900	2 651,800	6 264,100
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	8 335,2	0,0	8 335,2	6 264,100	0,0	6 264,100
გათანაბრებითი ტრანსფერი	8 125,2		8 125,2	6 096,300		6 096,300
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	210,0		210,0	167,800		167,800
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5 011,7	5 011,7	0,0	2 651,800	2 651,800	0,0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3 263,3	3 263,3		1 547,900	1 547,900	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 748,4	1 748,4		1 103,900	1 103,900	

მუხლი 6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 765.0 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	765,0	0,0	765,0	690,748	0,0	690,748
შემოსავლები საკუთრებიდან	270,0	0,0	270,0	104,974	0,0	104,974
პროცენტები	50,0		50,0	35,688		35,688
დივიდენდები	0,0			0,0		
რენტა	220,0	0,0	220,0	69,286	0,0	69,286
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	210,0		210,0	67,416		67,416
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	10,0		10,0	1,870		1,870



საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	5,0	0,0	5,0	37,544	0,0	37,544
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	0,0	0,0	0,0	37,495	0,0	37,495
სანებართვო მოსაკრებელი	0,0			35,305		35,305
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0			0,2		0,200
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,0			0,000		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	0,0			1,990		1,990
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0			0,0		
არა საბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5,0	0,0	5,0	0,0	0,0	0,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0			0,0		
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	5,0		5,0	0,0		0,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	475,0		475,0	548,230		548,230
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0			0,0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	15,0		15,0	0,0		

მუხლი 7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9549.3 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9 549,3	120,9	9 428,4	6 780,5	46,9	6 733,6
შრომის ანაზღაურება	2 078,9	0,0	2 078,9	1 609,8	0,0	1 609,8
საქონელი და მომსახურება	1 521,1	94,1	1 427,0	939,3	46,9	892,4
სუბსიდიები	4 799,8	26,8	4 773,0	3 350,1	0,0	3 350,1
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



სოციალური უზრუნველყოფა	1 039,6	0,0	1 039,6	703,9	0,0	703,9
სხვა ხარჯები	109,9	0,0	109,9	177,4	0,0	177,4

მუხლი 8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები მათ შორის: განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6890,6 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	6 890,6	6 364,2	526,4	4 286,3	3 965,4	320,9
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	95,9	0,0	95,9	78,1	0,0	78,1
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	29,0	0,0	29,0	24,9	0,0	24,9
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 522,9	6 134,4	388,5	3 932,2	3 727,2	205,0
კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	242,8	229,8	13,0	251,1	238,2	12,9

მუხლი 9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კლასიფიკაცია

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
701 საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 846,9	0,0	2 846,9	2 104,7	0,0	2 104,7
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის						



7011	უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 781,3	0,0	2 781,3	2 063,4	0,0	2 063,4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 648,6	0,0	2 648,6	1 958,0	0,0	1 958,0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	132,7	0,0	132,7	105,4	0,0	105,4
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	10,0	0,0	10,0	6,5	0,0	6,5
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	10,0	0,0	10,0	6,5	0,0	6,5
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	20,0	0,0	20,0	0,0	0,0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	35,6	0,0	35,6	34,8	0,0	34,8
702	თავდაცვა	166,8	0,0	166,8	124,1	0,0	124,1
704	ეკონომიკური საქმიანობა	5 770,4	4 592,4	1 178,0	3 560,6	2 847,0	713,6
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	45,0	0,0	45,0	33,6	0,0	33,6
70421	სოფლის მეურნეობა	45,0	0,0	45,0	33,6	0,0	33,6
7045	ტრანსპორტი	2 583,3	2 405,3	178,0	1 714,7	1 538,0	176,7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 583,3	2 405,3	178,0	1 714,7	1 538,0	176,7
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70473	ტურიზმი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3 142,1	2 187,1	955,0	1 812,3	1 309,0	503,3
705	გარემოს დაცვა	1 061,2	233,7	827,5	844,9	28,5	816,4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	995,8	195,8	800,0	818,0	28,5	789,5
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	65,4	37,9	27,5	26,9	0,0	26,9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 888,9	1 402,4	486,5	1 251,7	898,6	353,1



7063	წყალმომარაგება	1 086,2	1 086,2	0,0	754,4	754,4	0,0
7064	გარე განათება	658,7	316,2	342,5	399,3	144,2	255,1
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	144,0	0,0	144,0	98,0	0,0	98,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	200,0	0,0	200,0	148,2	0,0	148,2
7072	ამბულატორიული მომსახურება	40,0	0,0	40,0	29,8	0,0	29,8
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	160,0	0,0	160,0	118,4	0,0	118,4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 081,8	229,8	1 852,0	1 571,7	238,2	1 333,5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	618,0	0,0	618,0	502,0	0,0	502,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 427,8	229,8	1 198,0	1 044,7	238,2	806,5
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	15,0	0,0	15,0	10,0	0,0	10,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	21,0	0,0	21,0	15,0	0,0	15,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 081,8	229,8	1 852,0	1 571,7	238,2	1 333,5
709	განათლება	1 584,3	26,8	1 557,5	905,2	0,0	905,2
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 430,8	26,8	1 404,0	801,6	0,0	801,6
7092	ზოგადი განათლება	78,5	0,0	78,5	54,0	0,0	54,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	78,5	0,0	78,5	54,0	0,0	54,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	75,0	0,0	75,0	49,6	0,0	49,6
710	სოციალური დაცვა	839,6	0,0	839,6	552,6	0,0	552,6
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	12,0	0,0	12,0	0,0	0,0	0,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	12,0	0,0	12,0	0,0	0,0	0,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	320,0	0,0	320,0	320,0	0,0	320,0



7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	17,0	0,0	17,0	16,0	0,0	16,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	41,0	0,0	41,0	32,0	0,0	32,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	25,0	0,0	25,0	0,0	0,0	0,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	424,6	0,0	424,6	184,6	0,0	184,6
	სულ	16 439,9	6 485,1	9 954,8	11 063,7	4 012,3	7 051,4

თავი II

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს თავდაცვის საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა მუნიციპალიტეტში, თავდაცვის უნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

166,8 ათასი ლარი – ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამა ახორციელებს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო და სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევას, მათი სამედიცინო შემოწმებას და გაწვევის ტრანსპორტირებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სამხედრო აღრიცხვის სრულყოფილი კოორდინაცია-უზრუნველყოფა. სამედიცინო შემოწმების შედეგებით ჯანმრთელი ახალგაზრდების სრულად გაწვევის უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სამხედრო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

2. 8720,5 ათასი ლარი – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურისათვის თანხები გამოიყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2.1. 2483,3 ათასი ლარი – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა (გზები და ხიდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების



მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

2.1.1. 2355,1 ათასი ლარი – გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, სასოფლო გზების რეაბილიტაცია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმავალი გზების რეაბილიტაციისა და მოწყობის საკითხი მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული სამუშაოების შესრულება მნიშვნელოვან ეფექტს მოიტანს. მოსახლეობას მიეცემა ნორმალური გადაადგილების საშუალება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
- ბაზრებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
- სკოლებთან და ჯანდაცვის ობიექტებთან გადაადგილების ხელშეწყობა.
- ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

2.1.2. 128,3 ათასი ლარი – ხიდ-ბოგირების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 0102)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება და მუნიციპალიტეტში ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით და სტიქიის კუთხით გამოყოფილი თანხებით უამრავი ხიდისა და ბოგირების რეაბილიტაცია მოხდა, მაინც არის ობიექტები რომელთა რეაბილიტაციაც აუცილებელია. საკუთარი სახსრებით ხიდების რეაბილიტაცია-შეკეთება ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევა-შეფასების კომისიის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- კონკრეტული სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეკეთებული და ახლად მოწყობილი ხიდების რაოდენობრივი ზრდა.

2.2. 2194,2 ათასი ლარი – კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, წყალსადენის ქსელის გაფართოება, გამწვანების სამუშაოები. სოფლებში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- კეთილმოწყობილი და განათებული სოფელი, სოფლის ცენტრები და უბნები.
- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.



- სასმელი წყლით მოსახლეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა.
- სოფლის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოფლის ქუჩების განათების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა.
- გაუმჯობესებული და კეთილმოწყობილი დასვენებისა და გართობის ადგილები.

2.2.1. 658,7 ათასი ლარი – გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა, ახალი ქსელების მოწყობა და მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება დღეღამის განმავლობაში, სოფლების ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განათებული სოფლების რაოდენობის ზრდა.

2.2.2. 800,0 ათასი ლარი – დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 030202)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა და გაუმჯობესება. ყოველდღიურად 50 ჰექტარამდე ფართის დაგვა-დასუფთავების და 130-150 კუბურ მეტრამდე ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიიდან, სოფელში კომპაქტურად ჩასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებიდან, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მასალით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

დასუფთავებული, სანიტარიულ-ჰიგიენურად მიმზიდველი ტერიტორიები, ეკოლოგიურად გაუმჯობესებული მდგომარეობა,

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მომსახურების სფეროს ზრდა, სპეცტექნიკის რაოდენობის ზრდა.

2.2.3. 393,7 ათასი ლარი – წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030203)

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ანაკლია-განმუხურის საკურორტო ზოლის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ლანდშაფტური, გეოგრაფიული, მატერიალურ-კულტურული, ისტორიული, რელიგიური მემკვიდრეობის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული ნიმუშების პოპულარიზაცია და დაინტერესება ტურისტულ ბიზნესში ჩართული ბიზნესჯგუფების თუ რიგითი ტურისტების.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:



დამსვენებელთა და ტურისტთა ნაკადის ზრდის მაჩვენებელი წარმოდგენილ ბიზნეს პროექტები ტურისტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

2.2.4. 144,0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამა ა.ა.ი.პ „სასაფლაოების მართვის ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 030207)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, შემოკავების სამუშაოების, გადაბერებული ხეების მოჭრას და გადაცემას სოციალური დანიშნულების სარგებლობისათვის შესაბამის სამსახურზე. საფლაოების აღრიცხვა-განკარგვაში წესრიგის დამყარებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოვლილი მიცვალებულთა საფლაოები

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რამდენად დაცულია სასაფლაოები და 2014 წელს რამდენი შემოკავდა.

2.2.5. 195,8 ათასი ლარი – ნაგავსაყრელის მოწყობა და ტექნიკის შეძენა (პროგრამული კოდი 030209)

2.2. 670,0 ათასი ლარი – კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია კეთილმოწყობის ცენტრი რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები: განათების ქსელის მოვლა-შენახვა, სანიაღვრეების მოწყობა და ექსპლოატაცია, გამწვანების სამუშაოები, მწვანე საფარის მოვლა-შენახვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობილი იერსახე,
- ჯანსაღი გარემო. მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული დასვენების ადგილები.
- მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობილი ტერიტორიების ზრდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- განათებული ქუჩების რაოდენობის ზრდა.
- გამწვანებული და მოვლილი ტერიტორიები.
- ჭარბი ნალექებისაგან მოსახლეობის უვნებლობის მაჩვენებელი.

2.3.1. 45,0 ათასი ლარი – ადგილობრივი ტყეების მოვლა-შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 0304)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების, მწვანე საფარის დაცვის და განაშენიანების ღონისძიებებს. სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფის, უკანონო ჭრების შემცირება-აღკვეთის ღონისძიებებს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება-გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:



ხეების უკანონოდ ჭრის მაჩვენებლის შემცირება ახლად გაშენებული ნარგავების მაჩვენებლის ზრდა.

2.3. 65.4 ათასი ლარი – სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე წყალსაწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოწესრიგებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები, დაცული სასოფლო სამეურნეო სავარგულები, საყანე ფართობები და საკარმიდამო ნაკვეთები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

წყალდიდობისაგან და სხვა სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვის მაჩვენებელი.

2.3.3. 692,5 ათასი ლარი – სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 0306)

2.3.4. 2160.4 ათასი ლარი – სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 07) და 280,0 ათასი ლარი თანადაფინანსება.

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №183 დადგენილების 2014 წლის 20 მარტის საფუძველზე 1748,4 ათასი ლარის ფარგლებში, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა მიხედვით სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულების საფუძველზე 280,0 ათასი ლარის გამოყოფას საკუთარი ბიუჯეტიდან პროგრამების თანადაფინანსებისათვის კონკრეტულ სოფელში დაგეგმილი პროექტების ღირებულების არაუმეტეს 100 %-ისა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ცალკეული სოფლის – თემების მიხედვით განაწილებულია სოფლის რიცხოვნობისა და კოეფიციენტების მიხედვით, სოფლის მოსახლეობის მიერ შემუშავებული და მოწონებული სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2014 წლის ძირითადი და თანადაფინანსების თანხების მითითებით (დაზუსტებული)

ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	პროექტების დასახელება	გამოყოფილი თანხა ახალი	თანადაფინანსება
აბასთუმანი	აბასთუმანი	სოფლის ცენტრში გარე განათების მოწყობა	7000	830
აბასთუმანი	აბასთუმანი	მენჯის უბანში ჭაბურღილის მოწყობა	19603	8680
აბასთუმანი	მენჯი	ჩიხლაძეების უბანში ჭაბურღილის მოწყობა	5791	3500
აბასთუმანი	ხეცერა	ხეცერის უბნის ცენტრთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	8762	
აბასთუმანი			41156	13010
ანაკლია	ანაკლია	№1 სასაფლაოს შემოღობვა	7000	
ანაკლია	ანაკლია	შიდა გზის რეაბილიტაცია	15672	15000
ანაკლია	ანაკლია	ცენტრალური სკადიონის რეაბილიტაცია	20000	



ანაკლია	ანაკლია	ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია	20000	
ანაკლია	თიქორი	№1 სასაფლაოს შემოკვება (თანადაფინანსება)	3000	592
ანაკლია	თიქორი	შიდა გზის რეაბილიტაცია	2443	
ანაკლია			48115	15592
ახალაბასთუმანი	სოფ. ახალაბასთუმანი	სანიაღვრე არხების ამოწმენდა და სანიაღვრე არხის მოწყობა, ჭიშკრებთან ბოგირების მოწყობა № 6 უბანში	15165	
ახალაბასთუმანი	სოფ. ახალაბასთუმანი	შიდა გზის რეაბილიტაცია	20000	
ახალაბასთუმანი	სოფ. ახალაბასთუმანი	ცენტრალური გზის განათება	16690	
ახალაბასთუმანი	სოფ. ახალაბასთუმანი	№1 უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობა	2245	
ახალაბასთუმანი	სოფ. ახალაბასთუმანი	№2 უბანში სტადიონის კეთილმოწყობა	1636	1630
ახალაბასთუმანი			55736	1630
ახალკახათი	სოფ. ახალკახათი	საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	29403	3000
ახალკახათი	სოფ. ახალკახათი	ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია ფიფიების უბანში	2500	
ახალკახათი	სოფ. ახალკახათი	ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია საკერზაიოს შესასვლელში	2500	
ახალკახათი			54403	3000
ახალსოფელი	უჩაშონა	ანატოლი გადილიას სახლთან სანიაღვრე არხების მოწყობა	2500	2500
ახალსოფელი	უჩაშონა	ოდიშახალსოფლის შემაერთბელი ხიდის რეაბილიტაცია (თანადაფინანსება)	2730	
ახალსოფელი	უჩაშონა	გზების რეაბილიტაცია (პროექტირება)	6000	
ახალსოფელი	უჩაშონა, ახალსოფელი	შინმოუსვლელთა და 9 აპრილის მემორიალის რეაბილიტაცია	19000	
ახალსოფელი	ახალსოფელი	საბავშვო ბაღის რკინისღობის შეღებვა	3510	1400
ახალსოფელი	ახალსოფელი	ახალსოფლის ცენტრში საერთო სარგებლობის სპორტდარბაზის და სველი წერტილების რეაბილიტაცია	8000	
ახალსოფელი	ახალსოფელი	ჭაბურღილის შემოკვება	1500	
ახალსოფელი	ახალსოფელი	შიდა გზის რეაბილიტაცია	2000	
ახალსოფელი	ოფაჩხაფუ	ხიდ-ბოგირის მოწყობა ყაზბეგის ქუჩაზე (ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმართულებით)	4340	
ახალსოფელი	ოფაჩხაფუ	საკეზუს უბანში გზის რეაბილიტაცია	11629	10000
ახალსოფელი	ჯუმი	სადარასელიოს უბანში ადრე არსებული გზის	33922	11800



		რეაბილიტაცია		
ახალსოფელი			95131	25700
განმუხური	სოფ. განმუხური	არსებული ამბულატორიის მისასვლელი გზისა და შემოკავების მოწყობა	5653	
განმუხური	სოფ. განმუხური	სამელიორაციო არხების ამოწმენდა შენგელიების უბანში	7552	
განმუხური	სოფ. განმუხური	სამელიორაციო არხის გათხრა ბაჩა ახალაიას სახლათან	13567	
განმუხური	სოფ. განმუხური	შიდა გზის რეაბილიტაცია	9149	
განმუხური	სოფ. განმუხური	ადმინისტრაციული ავარიული შენობის რემონტი (ინვენტარის შეძენა)	7881	
განმუხური			43802	
გრიგოლიში	სოფ. გრიგოლიში	სახასიოს უბნის წყლით მომარაგება	14000	
გრიგოლიში	სოფ. გრიგოლიში	საკანკიოს უბნის ხიდის აღდგენა	3216	
გრიგოლიში	სოფ. გრიგოლიში	საკიკალიშვილოს უბანში მიმავალი საავტომობილო გზის შეკეთება	1000	
გრიგოლიში			18216	
დარჩელი	დარჩელი	საბავშვო ბაღის ერთი ოთახის რემონტი	8000	2800
დარჩელი	დარჩელი	მინი საფეხბურთო სტადიონის დამთავრება პატარა კოკისუბანში	5000	
დარჩელი	დარჩელი	მინი სტადიონის განათება პატარა კოკში	4000	
დარჩელი	დარჩელი	რუსთაველი ქუჩაზე (თამარ მეფის შესახვევთან) მოსაცდელის მოწყობა	9000	930
დარჩელი	დარჩელი	პატარა კოკში ვალერი ჩხაპელიას სახლის წინხიდის რეაბილიტაცია	14000	
დარჩელი	დარჩელი	გარე განათება (პროექტირება)	2000	
დარჩელი	დარჩელი	მინი სტადიონის განათება კუნოშის უბანში	4000	
დარჩელი	დარჩელი, კიროვი	დარჩელის ცენტრში ბიბლიოთეკის სახურავის რეაბილიტაცია	9500	1246
დარჩელი	დარჩელი	შიდა გზის რეაბილიტაცია	8026	
დარჩელი	დარჩელი, კიროვი	ქვემო დარჩელში მინი სტადიონის მოწყობა (თანადაფინანსება)	20000	
დარჩელი	კიროვი	შიდა გზის რეაბილიტაცია	1548	
დარჩელი	კიროვი	მინი სტადიონის განათება ქვემო დარჩელში	4000	
დარჩელი	კიროვი	ქვემო დარჩელის უბანში ჯემალ ჭითანავას სახლთან ხიდის რეაბილიტაცია	13000	



დარჩელი			102074	4976
დიდინები	დიდინები	ჭაბურღილის მოწყობა 1 ერთეული	3500	
დიდინები	დიდინები	შიდა გზის რეაბილიტაცია	2300	
დიდინები	დიდინები	განათების სისტემის დამატება 3 ერთეული	2000	
დიდინები	დიდინები	სანიაღვრე არხების ამოწმენდა 2,5კმ.	4500	2920
დიდინები	დიდინები	სკოლამდე შესასვლელი ბილიკის მოასფალტება 30 მეტრი	2034	
დიდინები	დიდინების კახათი	შიდა გზის რეაბილიტაცია	10800	
დიდინები	დიდინების კახათი	განათების სისტემის დამატება 1 ერთეული	1200	
დიდინები	დიდინების კახათი	საქირიოს უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა 500 მეტრი	2034	
დიდინები	დიხაგუმუბა	თანადაფინანსებით დიდინების თემში სანიაღვრე არხების მოწყობა 1 კმ	4500	
დიდინები	დიხაგუმუბა	განათების სისტემის დამატება 5 ერთეული	6000	
დიდინები	დიხაგუმუბა	შიდა გზების მოხრეშვა	2368	
დიდინები			41236	2920
ერგეტა	ერგეტა	შიდა გზების რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა	13029	7200
ერგეტა	ერგეტა	ჭაბურღილების მოწყობა	4000	1000
ერგეტა	ერგეტა	ხიდ-ბოგირისა ჯოლოსხაოს და დიდგვიმარონის უბანში	1500	1500
ერგეტა	ცვანე	შიდა გზების რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა	11152	9500
ერგეტა	ცვანე	ჭაბურღილების მოწყობა	4000	1000
ერგეტა			33681	20200
ინგირი	ინგირი	ხიდ-ბოგირის მოწყობა დადიანის ქუჩის დასაწყისში.	5000	
ინგირი	ინგირი	გორგასლის, ვოლგოგრადის, გურამიშვილის, მახარაძის, ვეკუას, დადიანის, ფიფიას, წერეთლის, გელოვანის, საირმეს ქუჩების მოხრეშვა	23500	
ინგირი	ინგირი	ასფალტის ქარხანასთან არსებული რკინიგზის არკაზე სანიაღვრე არხისა და სამანქანო გზის მოწყობა	3500	
ინგირი	ინგირი	ცენტრის კეთილმოწყობა (ნარგავების დარგვა) განათება	4400	600
ინგირი	ინგირი	სანიაღვრე მილის ჩადება ვაჟა-ფშაველასა და სააკაძის ქუჩის ჩიხში	38000	
		№4 სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოხრეშვა		



ინგირი	ინგირი	და გადასასლელის მოწყობა	4190	
ინგირი	ინგირი	სანიაღვრე არხის (ღია და დახურული ტიპის) მოწყობის სამუშაოების პროექტირება	2600	
ინგირი	ინგირი	ინგირის ცენტრში აბულატორიის ტერიტორიის კეთილმოწყობა	4400	
ინგირი	ოირემე	არსებული საფეხბურთო მოედნებზე განათების მოწყობა	4500	585
ინგირი	ოირემე	შიდაგზების რეაბილიტაცია	8276	5000
ინგირი	ოირემე	შ. რუსთაველის ძეგლის შეკეთება	500	
ინგირი	ოირემე	სანიაღვრე არხის გათხრა გორგასლის ქუჩაზე	1690	
ინგირი	ოირემე	ოირემეს საბავშვო ბაღის ფასადის შემოღობვა და სამზარეულო ინვენტარების შეძენა	4500	1000
ინგირი			105056	7185
კახათი	კახათი	ზემო კახათის უბანში რუსთაველის ქუჩაზე მოსაცდელის მოწყობა	8000	
კახათი	კახათი	ხიდ-ბოგირის მოწყობა	5500	
კახათი	კახათი	ობელისკის მემორიალის რეაბილიტაცია	6500	3955
კახათი	კახათი	სოფელში და სასოფლო გზების კეთილმოწყობა, მოხრეშვა	26000	
კახათი	კახათი	სანიაღვრე არხების მოწყობა	5000	
კახათი	კახათი	ქვემო კახათის უბანში, დარასელიას ქუჩის ცენტრში გარე განათების ბოძების დამონტაჟება (არანაკლებ 6-8 ცალისა)	6800	
კახათი	კახათი	სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა (საპირფარეშოს მოწყობა) ამბულატორიის შენობაში სველი წერტილის მოწყობა	8000	4068
კახათი	კახათი	კახათის ცენტრში მდებარე საბავშვო ბაღის „რწმენას“ შენობაში კანალიზაციის კეთილმოწყობა	4000	3000
კახათი	კახათი	კახათის №1 ცენტრალურ სასაფლაოს ირგვლივ 2 სანაგვე ურნის დადგმა-შემოტანა	2000	
კახათი	კახათი	საჯიქიო, საშედანიოს უბანში არსებული სასაფლაოს შემოღობვა	3000	2926
კახათი	კახათი	მდინარე კახათწყალის ამოწმენდა 300 მეტრის მანძილზე	2000	
კახათი	კახათი	ქვემო კახათის უბანში საბავშვო ბაღის ორი ოთახის იატაკის , ჭერის გამოცვლა და ღობის გამაგრება	7913	2200
კახათი			84713	16149
კოკი	კოკი	მოსაცდელელების მოწყობა ზუგდიდი-კოკის საავტომობილო გზაზე	8400	1570
კოკი	კოკი	შიდა გზის რეაბილიტაცია	14300	



კოკი	კოკი	4 ერთეული ხიდ-ბოგირის მოწყობა	4000	3000
კოკი	კოკი	ჭაბურდილისა და სველი წერტილების მოწყობა გამგეობის ეზოში	1500	
კოკი	კოკი	სანიაღვრე არხები	3030	
კოკი	ხურჩა	სანიაღვრეს მოწყობა 300 მეტრი	1500	
კოკი	ხურჩა	შინმოუსვლელთა მემორიალის მოწყობა	3000	
კოკი	ხურჩა	სველი წერტილის მოწყობა ცენტრში	2500	
კოკი	ხურჩა	შიდა გზების მოხრეშვა	1808	
კოკი	ხურჩა	სანაგვე ყუთის შექმნა	1000	
კოკი			41038	4570
კორცხელი	კორცხელი	საქობალიო სალაგვილას უბანში მოსაცდელის მოწყობა	9300	
კორცხელი	კორცხელი, ნაცატუ, ბაში	შიდა გზის რეაბილიტაცია	47784	
კორცხელი	ბაში	ჭაბურდილის ტუმბოს შეცვლა	3500	1000
კორცხელი			60584	1000
ნარაზენი	შამადელა	საპერტიო-საყვანიოს, რუსთაველის მიმართულებით გზის მოხრეშვა	9750	
ნარაზენი	შამადელა	მეოთხე რაიონის და სახელებაში ერთი ჭაბურდილის გათხრა	4500	
ნარაზენი	ნარაზენი	საპერტიო-საყვანიოს, რუსთაველის მიმართულებით გზის მოხრეშვა თანადაფინანსება	3250	
ნარაზენი	ნარაზენი	სოფლის ცენტრის მიმდებარე ქუჩაზე სასმელი წყლის გაყვანილობის რეაბილიტაციის დასრულება	14000	
ნარაზენი	ნარაზენი	საგრიგოლო-საბიგვას უბანში სასმელი წყლის გაყვანილობის დასრულება (ზედასათოდუო)	18560	18500
ნარაზენი	ნარაზენი	ნარაზენის ტერიტორიაზე ორი ჭის გათხრა	9000	2442
ნარაზენი	ნარაზენი	საკალანდიო-საყვანიოს უბანში ჭის გათხრა	4124	2167
ნარაზენი	საბეჭვაიო	სვანეთის უბანში წყაროს წყლის აღდგენა	4000	
ნარაზენი	საბეჭვაიო	საბეჭვაიოს უბანში გზის მოხრეშვა და გრეიდერის სამუშაოების ჩატარება	3885	
ნარაზენი			71069	23109
ოდში	ოდში	შიდა გზების მოხრეშვა	11300	
ოდში	ოდში	რუსთაველის ქუჩაზე ხიდ-ბოგირის მოწყობა	3000	510



ოდიში	ოდიში	გამგეობის შენობის ავარიული სახურავის რეაბილიტაცია	4000	
ოდიში	ოდიში	დავით გურამიშვილის ქუჩაზე ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია	3000	
ოდიში	ოდიში	ოდიშის უბნის საბავშვო ბაღის შეკეთება	2000	1900
ოდიში	ოდიში	გრიგოლ ორბელიანის ქუჩაზე მდინარე ჯუმზე ხიდის მოწყობა	12497	
ოდიში	საქურდული	ვაჩნაძის ქუჩაზე მდინარე ჯუმზე საცალფეხო ხიდის მოწყობა	7291	7250
ოდიში	საქურდული	შიდა გზის რეაბილიტაცია	2000	
ოდიში	ჩხოუმი	ჩხოუმი უბნის საბავშვო ბაღის შეკეთება	2000	1900
ოდიში	ჩხოუმი	ჩხოუმის უბნის წისქვილკომბინატთან დამაკავშირებელი საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია	3000	
ოდიში	ჩხოუმი	გრიგოლ ორბელიანის ქუჩაზე მდინარე ჯუმზე ხიდის მოწყობა	9976	
ოდიში	ჩხოუმი	გამგეობის შენობის ავარიული სახურავის რეაბილიტაცია	3000	775
ოდიში	ჩხოუმი	ჩხოუმის უბანში დადიანის მესამე-ჩიხში ხიდ-ბოგირის მოწყობა	3000	688
ოდიში	ჩხოუმი	შიდა გზის რეაბილიტაცია	5000	
ოდიში	ჩხოუმი	სანიაღვრე არხების გაყვანა	1709	
ოდიში			72773	13023
ორსანტია	ორსანტია	ხიდ-ბოგირის მოწყობა სამ უბანში	8500	
ორსანტია	ორსანტია	ოტობაიას ხიდთან ჭაბურღილის და საპირფარეოს მოწყობა	8000	
ორსანტია	ორსანტია	მოსაცდელის მოწყობა საქვარაიოს და ქვემო ორსანტიის უბანში (ორიცალი)	17718	
ორსანტია	ორსანტია	არსებული სამი მოსაცდელის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა	2800	
ორსანტია	ორსანტია	საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია	17000	4359
ორსანტია	ორსანტია	სასაფალოს შემოკავება	7800	
ორსანტია			61818	4359
ორულუ	ორულუ	გარე განათების მოწყობა ცენტრში 7 ბოძი	7400	
ორულუ	ორულუ	სანიაღვრე არხის ამოწმენდა	4000	1079
ორულუ	ორულუ,	ხიდ-ბოგირის მოწყობა	8686	2145
ორულუ	ორულუ, მოგირი, ნაჭკადუ	შიდა გზის რეაბილიტაცია	27943	



ორულუ			48029	3224
ოქტომბერი	ოქტომბერი	ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია (ანზორ წიწავას სახლთან)	6200	2478
ოქტომბერი	ოქტომბერი	გზების მოხრეშვა სხვადასხვა უბანში დაიროდ შამუგიას სახლთან არხის გაყვანა	4600	
ოქტომბერი	ოქტომბერი	ნაჭვის უბანში სასაფლაოს შემოკავება	15000	3511
ოქტომბერი	ოქტომბერი	გამგეობის შენობის ტერიტორიის შემოკავება	4500	2000
ოქტომბერი	ოქტომბერი	ცაიშოქტომბრის ხიდის რეაბილიტაცია	1000	
ოქტომბერი	ოქტომბერი	სკოლის გვერდით ხიდი სრეაბილიტაცია	1012	
ოქტომბერი	დავითიანი	ჭაბურღილის მოწყობა	3500	
ოქტომბერი	დავითიანი	სასიმინდე ნაკვეთის შემოკავება (2000 მეტრი)	6000	3000
ოქტომბერი	დავითიანი	ხიდის რეაბილიტაცია მდინარე კახათწყალზე	3000	
ოქტომბერი	დავითიანი	შიდა გზების მოხრეშვა	5332	
ოქტომბერი			50144	10989
ყულიშკარი	სოფ. ყულიშკარი	შიდა საუბნო გზების მოხრეშვა (საგვილიოს, სამაქაცარიოს, საროგაოს, სახარებაოს, სათირქიოს და ბაღმარანის უბნებში)	22682	
ყულიშკარი	სოფ. ყულიშკარი	სანიაღვრე არხის მოწყობა (საგვილიოს, სამაქაცარიოს, საროგაოს, სახარებაოს, სათირქიოს და ბაღმარანის უბნებში)	3500	
ყულიშკარი	სოფ. ყულიშკარი	მილხიდების მოწყობა (საგვილიოს, სამაქაცარიოს, საროგაოს, სახარებაოს, სათირქიოს და ბაღმარანის უბნებში)	6000	
ყულიშკარი	სოფ. ყულიშკარი	მოსაცდელეების რეაბილიტაცია (საროგაოს და ოხვამეგოჭვილის უბნებში)	1000	2150
ყულიშკარი	სოფ. ყულიშკარი	დამეწყრილი გზის გაწმენდა გამაგრება (სამაქაცარიოს დასახარებაოს უბანში)	3000	
ყულიშკარი			36182	2150
რიყე	სოფ. რიყე	სოფლის ცენტრში ორივე მხარეს რკინის ღობის მოწყობა 360 გრძ.მეტ.ს	35460	19094
რიყე	სოფ. რიყე	სოფლის ცენტრში არსებული ჭაბურღილის და ქსელვის გაგრძელება	4800	
რიყე	სოფ. რიყე	სოფლის ცენტრში გარე განათების გაგრძელება 100 გრძ. მ.ს	3000	
რიყე	სოფ. რიყე	სახნავ-სათეს ფარდობებზე გასასვლელში (ჯიქიების უბანში) რკინის კარის მოწყობა	1200	
რიყე	სოფ. რიყე	შიდა გზის რეაბილიტაცია	3000	
რიყე	სოფ. რიყე	წერტილოვანი მექანიკური ჭაბურღილის მოწყობა 2 ადგილას	3000	
რიყე			50460	19094



რუხი	რუხი, ნაწულუკუ	რუხის თემში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია ახლის მშენებლობა	83915	
რუხი	რუხი	წერეთლის ქუჩაზე ბაჯიკო ფარცვანიას სახლთან ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია წყალამრიდების მოწყობა	5000	
რუხი	რუხი	ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე ჭაბურღილის მოწყობა	5000	
რუხი	რუხი	შიდაგზის რეაბილიტაცია	5000	5000
რუხი	ნაწულუკუ	ნაწულუკუს უბანში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	10000	
რუხი	ნაწულუკუ	შიდაგზის რეაბილიტაცია	3500	
რუხი	ნაწულუკუ	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	3000	
რუხი			115415	5000
ურთა	სოფ. ურთა	მოსაცდელის გაკეთება სოფლის ცენტრში	7500	
ურთა	სოფ. ურთა	მოსაცდელის გაკეთება (სამალანო-საკაკულიო სალატარიოს უბნების და მაკავშირებელი გზა ჯვარედინთან	7500	
ურთა	სოფ. ურთა	შიდაგზის რეაბილიტაცია	8022	
ურთა	სოფ. ურთა	ელ. წისქვილის რეაბილიტაცია სამალანოს უბანში	1500	1500
ურთა	სოფ. ურთა	სოფლის შესასვლელში ურთის გადასახვევთან სოფლის მიმართულების ფირნიშის გაკეთება	300	
ურთა	სოფ. ურთა	ქუჩების ნუმერაცია (აბრების დამზადება)	1000	1000
ურთა			25822	2500
შამგონა	სოფ. შამგონა	მინი საფეხბურთო მოედნის განათება (ნაფატუსუბანში)	4000	
შამგონა	სოფ. შამგონა	მოსაცდელის მოწყობა (ნაფატუსუბანში)	8200	
შამგონა	სოფ. შამგონა	სანიაღვრე არხისა მოწმენდა (ხუბულიების უბნიდან ჯიჭონაიების უბნამდე 3კმ-ზე)	4000	
შამგონა	სოფ. შამგონა	ხიდ-ბოგირის გაკეთება (გელა ხუბუას უბანში)	10430	
შამგონა	სოფ. შამგონა	სანიაღვრე მილის ჩადება (შარიების უბანში)	2400	
შამგონა	სოფ. შამგონა	საბავშვო ბაღისათვის ინვენტარის შეძენა	1200	
შამგონა	სოფ. შამგონა	ნაპირ სამაგრი სამუშაოების ჩატარება (ნაფატუს უბანში, ლაშხიების უბანში, თორიების უბანში და რკინიგზის გადასასვლელის გაფართოება) საჭიროა ბუღლოზერით სამუშაოების ჩატარება	13968	
შამგონა			44198	
ჩხორია	ჩხორია	სამოყვარულო თეატრის ჩხორიის წინა ეზოს შემოღობვა	7000	2200



ჩხორია	ჩხორია	ხიდ-ბოგირის მოწყობა (ეგ. ფიფიასა და გ. ფიფიას ქუჩის შემაერთებელი)	5000	4593
ჩხორია	ჩხორია	ზაქარია ფალიაშვილის ქუჩის და დადიანის ქუჩის გადაკვეთაზე მოსაცდელის მოწყობა	8000	2140
ჩხორია	ჩხორია	შიდა გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხის მოწყობა	11951	
ჩხორია	ტყაია	მინი სტადიონის გაკეთება	15000	6135
ჩხორია	ტყაია	საბავშვო ბაღის შემოღობვა	2126	
ჩხორია	ტყაია	წისკვილის რემონტი	1100	
ჩხორია	ტყაია	შიდა გზების რეაბილიტაცია	10000	
ჩხორია	ზედაეწერი	ხერგინის ქუჩაზე მოხრეშვა და ლამპიონის დამონტაჟება	10000	6000
ჩხორია	ზედაეწერი	ბაღის რემონტი	21170	
ჩხორია	ზედაეწერი	მესტია-ზუგდიდის გარე განათების მოწყობა 700 მეტრზე	8830	
ჩხორია	ჩხორია	სამოყვარულო თეატრის ჩხორიის წინა ეზოს შემოღობვა	7000	2200
ჩხორია	ჩხორია	ხიდ-ბოგირის მოწყობა (ეგ. ფიფიასა და გ. ფიფიას ქუჩის შემაერთებელი)	5000	4593
ჩხორია	ზედაეწერი	მოხრეშვა, მილის ჩადებასა თორდიო, საჭიტანას უბნებში	5532	
ჩხორია			105709	21068
ცაიში	ცაიში	საშამუგიოს უბანში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა	17356	
ცაიში	ცაიში	შიდა გზების რეაბილიტაცია	12253	
ცაიში	ცაიში	საჯიქიოს უბანში სახნავი მიწის ფარდობების შემოღობვა	2724	
ცაიში	ცაიში	რკინიგზის ლიანდაგების გასწვრივ ჩხოლში-ცაცხვის უბანში მავთულბადით შემოღობვა	2178	
ცაიში	ჩხოლში	ჩხოლში-საფარჯიკოს უბანში სახნავი მიწის ფარდობების შემოღობვა	12000	9700
ცაიში	ჩხოლში	რკინიგზის ლიანდაგების გასწვრივ ჩხოლში-ცაცხვის უბანში მავთულბადით შემოღობვა	4822	
ცაიში	ცაცხვი	ცაცხვის უბანში სახნავი მიწის ფარდობის შემოღობვა მავთულბადით	4000	3900
ცაიში	ცაცხვი	ვართაგების უბანში სანიაღვრე არხის ამოწმენდა და ხიდ-ბოგირის აღდგენა	5000	3106
ცაიში	ცაცხვი	ჯუმის უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა	16582	15890
ცაიში			76915	32596



ჭაქვინჯი	ჭაქვინჯი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა 22 კმ-ზე	12800	
ჭაქვინჯი	ჭაქვინჯი	ცენტრში არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	4000	
ჭაქვინჯი	ჭაქვინჯი	აჭარლების დასახლებაში სასმელი წყლით მომარაგება (ჰისგათხრა 20 მეტრზე)	5000	
ჭაქვინჯი	ჭაქვინჯი	სამგალობლიშვილის უბანში თვითღინებით სასმელი წყლის მიწოდება	8000	
ჭაქვინჯი	ბაღმარანი	შიდა გზების მოხრეშვა ბაღ-მარანის უბანში	7000	
ჭაქვინჯი	ბაღმარანი	ბაღ-მარანის უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა	1450	
ჭაქვინჯი			38250	
ჭკადუაში	სოფ. ჭკადუაში	წალენჯიხა-ზუგდიდის გზატკეცილზე, ჭკადუაშის გადასახვევთან მოსაცდელის მოწყობა	8400	1540
ჭკადუაში	სოფ. ჭკადუაში	საანთიოს უბანში მდინარე ჩხოლუმის ხიდზე მოაჯირის მოწყობა	2000	
ჭკადუაში	სოფ. ჭკადუაში	შიდა საუბნო გზების მოხრეშვა	19193	
ჭკადუაში	სოფ. ჭკადუაში	წყალსაწრეტი არხების რეაბილიტაცია	1500	
ჭკადუაში	სოფ. ჭკადუაში	ზემო სანაჭყებოს საუბნო გზაზე ხიდ-ბოგირის აღდგენა	4500	
ჭკადუაში			35593	1540
ჭითაწყარი	სოფ. ჭითაწყარი	შიდა გზების მოხრეშვა სხვადასხვა უბანში	10000	
ჭითაწყარი	სოფ. ჭითაწყარი	მესხების უბანში სტადიონის მოწყობა	17809	
ჭითაწყარი	სოფ. ჭითაწყარი	საბავშვო ბაღის კეთილმოწყობა	15000	
ჭითაწყარი	სოფ. ჭითაწყარი	სადარასელიოს უბანში სპორტული მოედნის განათება	5100	544
ჭითაწყარი	სოფ. ჭითაწყარი	ონარიის უბანში ყოფილი სასადილოს დემონტაჟი	2019	1100
ჭითაწყარი	სოფ. ჭითაწყარი	მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია	11000	10500
ჭითაწყარი	სოფ. ჭითაწყარი	მეფრინველეობის უბანში კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია	2637	
ჭითაწყარი	სოფ. ჭითაწყარი	ონარიის უბანში დასასვენებელი პარკის კეთილმოწყობა	3000	
ჭითაწყარი			66565	12144
ჯიხაშკარი	ჯიხაშკარი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	7000	
ჯიხაშკარი	ჯიხაშკარი	სამარლოს უბანში სასაფლაოსთან გზის დამეწყობილ მონაკვეთზე დამცავი ჯგებირის მოწყობა	7000	



ჯიხაშკარი	ჯიხაშკარი	სოფლის უბანში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის	5000	4900
ჯიხაშკარი	ჯიხაშკარი	სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა	9391	472
ჯიხაშკარი	ჯიხაშკარი	ბენდელიანების უბანში არსებული წყლის მაგისტრალის დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაციის	2000	
ჯიხაშკარი	ჯიხაშკარი	მდ. ტარჩიაზე საფეხმავლო ხიდთან ნაპირსამაგრის მოწყობა	6000	
ჯიხაშკარი	ჯიხაშკარი, ფალაზონი	ადმინისტრაციული შენობის გადახურვა (თანადაფინანსება)	5082	3080
ჯიხაშკარი	ფალაზონი	სოფელ ფალაზონაში მილ-ხიდის მოწყობა მურთაზ ხარჩილავას სახლთან	1000	
ჯიხაშკარი			44473	8452
			1748356	275180

2.3.5. 100,0 ათასი ლარი – მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0308)

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, რათა ტრანსპორტის საწვავისა და მარაგ-ნაწილების ფასების ზრდის გამო, მგზავრობის ღირებულება არ გაძვირდეს. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური დანახარჯების და შემოსავლების თანაფარდობით მოსალოდნელი ზარალის ნაწილობრივ შევსებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების სტაბილურობის შენარჩუნება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მგზავრთა ნაკადის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

2.3.6 3,0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის კუთვნილი შენობების და სხვა აქტივების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 14)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის კუთვნილი შენობების, ოთახების და სხვა აქტივების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებს, შენობებში შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ხელსაყრელი შეღწევადობისათვის პანდუსების მოწყობის სამუშაოებს.

2.3.7. 306,7 ათასი ლარი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვების განხორციელებისათვის. 232.1 ათასი ლარი – სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის ღონისძიებებისათვის (პროგრამული კოდი 03 15)

პროგრამა ითვალისწინებს მთავრობის განკარგულებათა შესაბამისად გამოყოფილი სამუშაოების შესაბამისი საპროექტო-სახაჯთადრიცხვო და საექსპერტო მომსახურების განხორციელებას. სტიქიით დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციას.

3. 1584,3 ათასი ლარი – განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად



მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა.
- რეაბილიტირებული და განახლებული ბაგა-ბაღები და საჯარო სკოლები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ზოგადი განათლების მაღალი დონე.
- შეუფერხებელი სასწავლო პროცესი.

3.1. 1430.8 ათასი ლარი – სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 43 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 2000-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯებს, აღმზრდელ-მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

პროგრამის მიზანია კოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, მათი უნარების განვითარება და სასკოლო განათლებისათვის მომზადება, ხელშეწყობა ოჯახებზე ბავშვის აღზრდა-განვითარებისა და სკოლამდელი განათლების მიღების საქმეში. საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უნარ-ჩვევების განვითარება, მეთვალყურეობა და ზრუნვა ჯანმრთელობის საკითხებში ფსიქოლოგიურ დაკვირვებათა ანალიზი და გატარებული ღონისძიებები.
- საბავშვო ბაღებზე გაწეული დანახარჯების /შენატანების გაუქმების შედეგად/ ოჯახების შემოსავლის ზრდა 15-30 ლარით.
- შშმ აღსაზრდელების ინტეგრაციის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებული მაჩვენებელი.
- ბავშვების მოვლაზე დედების დროის ეკონომიის შედეგად გენდერული საკითხების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბაღებში ბავშვების რაოდენობის გაზრდა 700-ზე მეტი აღსაზრდელით.
- შშმ აღსაზრდელების ინტეგრაციის და ხელმისაწვდომობის კონკრეტული გატარებულ ღონისძიებათა მაჩვენებელი.
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მაჩვენებელი.
- რეაბილიტირებული და განახლებული და ახლად აშენებული შენობების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

3.2. 78,5 ათასი ლარი – საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)



პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცალკეული სოფლების მიხედვით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა გადაადგილებისათვის ტრანსპორტის ხარჯები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- რეაბილიტირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალო სკოლებში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სრულყოფილი სასწავლო პროცესი და კეთილმოწყობილი გარემო

3.3. 70.0 ათასი ლარი – ზედაეწერის კოლეჯის ფინანსური ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0404)

პროგრამის მიზანია პროფესიონალი კადრების, სპეციალისტების მომზადება სოფლის მეურნეობისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სიახლეების დანერგვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დასაქმების მაჩვენებელი.

3.4. 5,0 ათასი ლარი – განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0405)

განსაკუთრებული ნიჭის და უნარების მქონე მოზარდთა და ახალგაზრდათა გამოვლენა და მათი ფინანსურ-მატერიალური ხელშეწყობა შესაბამის სფეროში სწავლისა თუ შემოქმედების უნარის წარმოსაჩენად და განსახორციელებლად. შესაბამისი დებულების შემუშავება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის ზრდა და განვითარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ნიჭიერ ახალგაზრდათა მიღწეული შედეგების მაჩვენებელი.

4. 2081,8 ათასი ლარი – კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯებს.

4.1. 618,0 ათასი ლარი – სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სპორტსმენთა წვრთნა სხვადასხვა სახეობის მიხედვით, მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა, წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· სპორტსმენტა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

4.1.1. 220,0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ა.ა.ი.პ „სპორტის განვითარების ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 050101)

პროგრამების მიზანია სპორტის სხვადასხვა სფეროების წრეების ფუნქციონირებას, სასპორტო სკოლების, სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სპორტსმენტების წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ვეტერან სპორტსმენტთა მიღწევების პოპულარიზაცია. სპორტული ღონისძიებებში მონაწილეობა საქართველოში და რესპუბლიკის გარეთ.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.
- სპორტსმენტთა მომზადების, წვრთნის ხარისხის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტსმენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი.
- მუნიციპალიტეტის სპორტსმენტთა მონაწილეობით ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა, რესპუბლიკურ და საკავშირო ღონისძიებებში მიღწეული დადებითი შედეგების რაოდენობრივი მაჩვენებელი.
- ახალი სპორტული ობიექტების რაოდენობა.

4.1.2. 375,0 ათასი ლარი – ა.ა.ი.პ „ფეხბურთისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ სუბსიდირება (პროგრამული კოდი 05 01 03)

აღნიშნული პროგრამა კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალგაზრდობის, ინტელექტუალურ, შემოქმედებით, სპორტულ და სხვა სფეროებში მუშაობას და ღონისძიებების ჩატარებას. უზრუნველყოფს ბავშვთა და მოზარდთა მომზადებას საფეხბურთო გუნდებისათვის, მატჩებში და ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება, ჯანსაღი თაობის აღზრდა, ახალგაზრდობის ინტელექტუალურ შემეცნებითი პოტენციალის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალგაზრდობის მონაწილეობით ჩატარებული ღონისძიებები და მათი ხარისხობრივი მაჩვენებელი.
- საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის შედეგობრივი მაჩვენებლები.

4.2. 1442,8 ათასი ლარი – კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურულ შემეცნებითი გასართობი ღონისძიებების ჩატარება, კულტურული ტრადიციების დაცვა-აღდგენა, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური კოლექტივების ფუნქციონირება და განვითარება.

4.2.1. 183,0 ათასი ლარი – მუზეუმების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამა „ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 050201)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მემორიალური სახლ-მუზეუმების ფონდის აღრიცხვა-სისტემატიზაცია და პოპულარიზაცია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება და განახლება, შევსება, ბროშურების გამოცემა და პოპულარიზაცია. შევსებას და გახსნას ექვემდებარება ტარიელ ერისთავის, ისაკ ქორთუას, ზვიად გამსახურდიას და ზურაბ ნარმანიას სახლ-მუზეუმები. მედიამუზეუმის გახსნა დიდი ექსპოზიციების მარაგით. სამხატვრო შემოქმედებითი გამოფენის მოწყობა და პოპულიარიზაცია. კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენა, აღრიცხვა, სისტემატიზაცია და პოპულარიზაცია. არსებული მატერიალურ-ტექნიკური და შემოქმედებითი მდგომარეობის პროგრესირება. საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა კულტურული მემკვიდრეობისადმი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო-სადაზღვევო ექსპედიციის მოწყობა მოძრავი და უძრავი ძეგლების აღრიცხვისა და გამოვლენის მიზნით, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების დასრულება №2 სამაროვანზე და სხვა ღონისძიებების განხორციელება კულტურის ძეგლების მოვლისა და შენახვის პროგრამის ფარგლებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა კულტურული მემკვიდრეობისადმი. ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებისადმი. მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· რეაბილიტირებული და აღდგენილი სახლ-მუზეუმები.

4.2.2. 92,0 ათასი ლარი – სამუსიკო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050202)

სამუსიკო პროგრამა ხორციელდება №2 სამუსიკო სკოლის ბაზაზე. პროგრამის მიზანია მოზარდებში მუსიკალური უნარ-ჩვევების განვითარება, მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება, ხოლო და კოლექტიური კონცერტების გამართვა, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მიღება, პედაგოგთა და ოსტატებისათვის მასტერ-კლასების ჩატარება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციისათვის მხატვრულ-მუსიკალური ღონისძიებების მოწყობა. მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა, ფოლკლორული, საესტრადო და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია. საანგარიშო კონცერტები, სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებზე მიღწეული წარმატებები. მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი.

4.2.3. 212,0 ათასი ლარი – საბიბლიოთეკო დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050204)

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ა.ა.ი.პ. „ცენტრალური ბიბლიოთეკის“ ბაზაზე. პროგრამის მიზანია: წიგნის კითხვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება. შემოქმედებითი საღამოების მოწყობა. თანამედროვე შემოქმედი ავტორების პოპულარიზაცია. საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება. წიგნიერების გაზრდა. შემოქმედებითი პოტენციალის ზრდა. ღონისძიებების ინტესივობა და ხარისხი. წიგნისკვირეულის ჩატარება. ფოტო გამოფენების მოწყობა. უსინათლოთა პროგრამა „ბუს“ დანერგვა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· საბიბლიოთეკო დარგის განვითარება, მოსახლეობის მიკტი დაინტერესება წიგნიერებისადმი.



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მკითხველთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი, ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა.

4.2.4. 138,0 ათასი ლარი – კულტურული ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის მიზანი სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია მონაწილეთა მასობრიობა, მოსახლეობის განწყობა წელიწადის ყველა ღირშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნაღონის ძიებებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობის კულტურული შემეცნებითი ღონის ამაღლება, დასვენებისა და გართობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რელიგიურად, კულტურულად და ისტორიულად მნიშვნელოვანი ძეგლების დაცვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობრივი და შინაარსობრივი ზრდის მაჩვენებელი.

4.2.5. 15,0 ათასი ლარი – ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა. (პროგრამული კოდი 05 02 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე შეკვეთილი ინფორმაციების, საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნებისა და დაბეჭდვის, სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების ანაზღაურება. გენდერული საკითხების კვლევისა და გაშუქების მიზნით ქალთა გაზეთის თანადაფინანსება, ადგილობრივ პრესაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმაციის მიზნით მასალების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს მიხედვით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ინფორმირებული მოსახლეობა.
- მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის;
- მასმედიის საშუალებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის ინფორმირებულობა;
- მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კვლევების შედეგები რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე,

მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში.

4.2.6. 43,0 ათასი ლარი – თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ჩხორის სამოყვარულო თეატრის ბაზაზე (პროგრამული კოდი 050207)

პროგრამით ხორციელდება სასცენო ხელოვნების პოპულარიზება და განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებზე ახალი სპექტაკლების დადგმა და არსებულის აღდგენა. თეატრალური წარმოდგენების გამართვა, თეატრის სამოყვარულო დონეზე პოპულარიზება, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა, მსახიობთა ოსტატობის დასახვეწად მასტერკლასების ორგანიზება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:



· თეატრალური ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა თეატრისადმი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· მაყურებელთა დასწრების ზრდის მაჩვენებელი.

4.2.7. 530,0 ათასი ლარი – მუსიკალურ ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების პროგრამა ა.ა.ი.პ „ოდიშის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 050208)

ქართული ფოლკლორული ტრადიციების აღორძინება, უკვე არსებული და ახალი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლების ხელშეწყობა, ქორეოგრაფების, ლოტბარებისა და მუსიკოსებისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობა, ფოლკლორული ნიმუშების მოძიება და პოპულარიზება. მოზარდთა და ახალგაზრდათა ჩართულობის გაზრდა ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ანსამბლებში, ფოლკლორის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგის პოპულარიზაცია, მომავალ თაობაში სასიმღერო და ქორეოგრაფიული ეროვნული ტრადიციების, მემკვიდრეობითობის შენარჩუნება, სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში მიღწეული წარმატებები კულტურის სამინისტროს მიერ შემოღებული სერტიფიცირების წარმატებულად გავლა. ადგილობრივ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის მიღება, თანამედროვე და ტრადიციული ხელოვნების კონკურს-ფესტივალი „ორფეოსის“, პროექტი „მოდის ერთად ვიმღეროთ“, რესპუბლიკური ფოლკლორული ფესტივალი „ART-კოლხის“, კლასიკური მუსიკის რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალი „ნორჩი მუსიკოსების“ ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ოლიმპიადის ჩატარება, რაც შემოქმედებითი ანსამბლების გაცნობა-დამეგობრებას, კულტურისა და ხელოვნების დარგში მოღვაწე მოსწავლე-ახალგაზრდობასთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· მოსახლეობის კულტურულ-შემეცნებითი დონის ამაღლება, ახალგაზრდების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

შინაარსობრივად და რაოდენობრივად ჩატარებული ღონისძიებათა მაჩვენებელი კონკურსებში, ფესტივალებში მონაწილეთა მიღწეული შედეგობრივი მაჩვენებელი.

4.3. 21,0 ათასი ლარი – ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 0503)

პროგრამის მიზანი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობის პროგრამები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან, მისწრაფებებიდან დაინტერესებიდან გამომდინარე მათთვის მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებები. ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის. ახალგაზრდების განათლების ხარისხის განსაზღვრა, მათი საზოგადოებრივი აქტიურობა. ხელშეწყობის ღონისძიებათა გატარება. „ეტალონ მედია“-ს გადაცემაში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მონაწილეობის პროგრამის განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. განათლების, კულტურის, ხელოვნების ინტელექტუალური დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი



განხორციელებული ახალგაზრდული პროექტების, ჩატარებული ახალგაზრდული ღონისძიებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

5.0. 1039,6 ათასი ლარი – მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე გაგრძელდება ინვალიდი, ობოლი და ტყუპი ბავშვების სოლუიალური დაცვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა ეპიდემიებისაგან.
- სოციალური რისკების განეიტრალება.
- ომის ვეტერანებისა და უკიდურესად შეჭირვებულთა ოჯახების სოციალური დაცვა.
- უნარშეზღუდული ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრირება.
- ღარიბი მოსახლეობის სოციალური დაცვა.
- დედების სოციალური უზრუნველყოფა.

სოციალური საწარმოების, შშმპ, გენდერული საკითხების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა, კომფლიქტის შედეგათ დაზარალებულთა საკითხებზე აქტუალური პროექტების მხარდაჭერა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეპიდემიის გავრცელებისგან დაცული მოსახლეობა.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
- უკიდურესად შეჭირვებული ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.
- მრავალშვილიანი ოჯახების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება. უნარშეზღუდული ბავშვების და მათი ოჯახების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

სოციალური საწარმოების განვითარება, შშმ პირთა უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, კომფლიქტის შედეგათ დაზარალებულთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

5.1 160,0 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება. იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და



ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაციათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; „ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები წყალსატევებში გამბუზის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა. დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა მალარიის დიაგნოსტიკა, სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება. სანიტარული ღონისძიებები საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა, ეპიდსაწინააღმდეგო, პრევენციული ზომების გატარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· ინფექციური და გადამდები დაავადებისაგან დაცული მოსახლეობის, ავადობის შემცირებული მაჩვენებელი. AO

5.2. 40,0 ათასი ლარი – ჯანდაცვის სხვა ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 0602)

ცხოვრების ჯანსაღი წესისა და გარემოს შენარჩუნების ღონისძიებათა გატარება. ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, ავადობის პროგნოზირება და საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება.

5.3. 814,6 ათასი ლარი - მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 0603)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ბენეფიციარებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.3.1. 17,0 ათასი ლარი – ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 060302)

ითვალისწინებს ომის ვეტერანთა და ოჯახების ხელშეწყობა. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, ფაშიზმზე გამარჯვების დღის – 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, ყოველთვიურად 50 ლარიანი დახმარება ადგილობრივ ვეტერანებზე. ომის ვეტერანთა ზუგდიდის კავშირის ფინანსური ხელშეწყობა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება 250 ლარის ოდენობით.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში მონაწილე პირთა მონაცემთა ბაზის დადგენის შემდგომ ადგილობრივი ბიუჯეტით სოციალური დახმარების პროგრამაში შესაბამისი ცვლილების



შეტანა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· ომის ვეტერანებისა და ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· წლის განმავლობაში ომის ვეტერანებისა და ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი.

5.3.2. 41,0 ათასი ლარი – ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060303)

ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების, მარტოხელა პენსიონრების, მარტოხელა დედების და დედ-მამით ობოლი ბავშვების ერთჯერად დახმარებას.

ბავშვების სოციალური დაცვის ერთჯერადი დახმარებები: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის: (18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 ლარით; 5 ბავშვზე – 300 ლარით და ა.შ. მესამე შვილის შემენისას 200 ლარით; ტყუპების შემენისას 500 ლარით; დედ – მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის 100 ლარი; მარტოხელა დედებისათვის, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი 100 ლარით;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, მრავალშვილიანი, ობოლი და მზრუნველობა მოკლებული ბავშვების, მარტოხელა დედების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· ახალშობილთა ზრდის დინამიკის მაჩვენებელი,

5.3.3. 60,0 ათასი ლარი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია (კოდი 060304)

პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა, მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარებები მათ შორის: 18 წლამდე ასაკის უნარშეზღუდული და მძიმე ავადმყოფობის მქონე ბავშვებისათვის 100 ლარით; I ჯგუფის ინვალიდებს, ონკოლოგიურ ავადმყოფებს, სმენადაქვეითებულებს (ყრუ-მუნჯი) 100 ლარით და მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციის ღონისძიება. გარდა ერთჯერადი მატერიალური დახმარებისა შშმ პირთა გარემოსთან ხელმისაწვდომობის, მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციის, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების რიგი ღონისძიებები გათვალისწინებულია როგორც სოციალური დარგის სხვადასხვა კოდებით გათვალისწინებული პროგრამებიდან ასევე ბიუჯეტის სხვა დარგების პროგრამებიდან.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური, ეკონომიური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ პირთა მხარდაჭერისათვის გატარებულ ღონისძიებათა კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

5.3.4. 17,0 ათასი ლარი – მარჩენალ დაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060305)



პროგრამა ითვალისწინებს მარჩენალდაკარგულთა ოჯახების მხარდაჭერას. მარჩენალ დაკარგულთა ოჯახს, რომელსაც ჰყავთ 18 წლამდე შვილი, ერთჯერადი დახმარების სახით ეძლევა დახმარება 100 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მარჩენალდაკარგულთა ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მარჩენალდაკარგულთა ოჯახების ხელშეწყობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

5.3.5. 28,0 ათასი ლარი – სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 060307)

სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეებს (ადგილობრივი და დევნილი – 37 კაცი), უდედამამო ბავშვებს (30), და სოციალური საცხოვრისის (15) ბენეფიციარებისთვის ფინანსური, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) დახმარება საჩუქრებით. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა (14 ივნისი, 3 დეკემბერი).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სადღესასწაულო განწყობის შექმნა, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სადღესასწაულო დღეებში ბენეფიციარებისათვის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

5.3.6. 25,0 ათასი ლარი – საზღვრის პირა სოფელ ხურჩის მოსახლეობისა და ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 060308)

საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა. მგზავრობის საფასურის თანადაფინანსება.

საზღვრისპირა სოფელ ხურჩის მოსახლეობის ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ყოველთვიურად ანაზღაურდეს ს. კოკის რწმუნებულსა და შ.პ.ს მუნიციპალური ტრანსპორტის მიერ წარმოდგენილი და გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ დადასტურებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

პირველ ეტეპზე განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი უმწეო კატეგორიის სტუდენტებისთვის (რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ, ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში) ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსების მიზნით, ერთჯერადი 100 ლარიანი დახმარების გაწევა. ამასთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი შესაბამისი კომისიის მიერ ალტერნატიული პროგრამის წარმოდგენის შემთხვევაში შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები სათანადო რესურსების მოძიებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- საზღვრისპირა სოფელ ხურჩის მოსახლეობის და სტუდენტთა მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საზღვრისპირა სოფელ ხურჩის მოსახლეობის და სტუდენტთა შეღავათებით მოსარგებლეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

5.3.7. 150,0 ათასი ლარი – სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 060309)



ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ფინანსური და მორალური თანადგომა. უსახლკაროდ დარჩენილთა ბინის ქირით უზრუნველყოფა.

ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახთა ერთჯერადი დახმარება (300–1000ლ) დაზიანების ხარისხის მიხედვით. დახმარების გაცემა მოხდეს: სოფლებში-ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის დასკვნის საფუძველზე.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· უსახლკაროდ დარჩენილთა მოსახლეობის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· სხვადასხვა გარემოებებით უსახლკაროდ დარჩენილთა მოსახლეობის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მაჩვენებელი.

5.3.8. 15,0 ათასი ლარი – დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 060310)

დევნილი მოსახლეობის იდენტიფიკაციის, მონაცემთა ბაზის დამუშავების, დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების ხელშეწყობის მიზნით გაუთვალისწინებელი სხვა ღონისძიებების ხარჯები. გარდაცვლილი დევნილის ოჯახზე დაკრძალვის ხარჯების ხელშეწყობა 100 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

